

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030463299995614

04-373/ო

10 / დეკემბერი / 2014 წ.

2014 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 2 დეკემბრის N650 დადგენილებით დამტკიცებული „2014 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების“ მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე და 61-ე მუხლების, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2014 წლის 5 დეკემბრის N01/97626 (N04/97329, 04.12.2014 წ.) წერილის გათვალისწინებით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. დამტკიცდეს:

ა) საქართველოს მთავრობის 2014 წლის 2 დეკემბრის N650 დადგენილებით (შემდგომში- დადგენილება) დამტკიცებული ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებლების მიერ, საანგარიშო პერიოდში, სსიპ- –

სოციალური მომსახურების სააგენტოში წარმოსადგენი ანგარიშგების ფორმები (დანართი N1–N21; N2N28);

ბ) „2014 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების“ ფარგლებში, საანგარიშგებო დოკუმენტაციის (შემთხვევათა რეესტრი) შევსების ინსტრუქცია (დანართი N22).

2. ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული დანართების მიხედვით, ჯანმრთელობის დაცვის შესაბამისი სახელმწიფო პროგრამის მიმწოდებლის მიერ საანგარიშგებო დოკუმენტაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს 2014 წლის დეკემბრიდან გაწეულ სამედიცინო მომსახურებაზე.

3. ცნობად იქნეს მიღებული:

ა) ამ ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული ანგარიშგების ფორმა – N16 დანართი გამოიყენება „ფსიქიკური ჯანმრთელობის“ სახელმწიფო პროგრამის „სტაციონარული მომსახურების“ კომპონენტის „ფსიქიკური დარღვევების მქონე პირთა თავშესაფრით უზრუნველყოფის“ ქვეკომპონენტის ფარგლებში ანგარიშგებისას;

ბ) ამ ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული ანგარიშგების ფორმა – N23 დანართი გამოიყენება „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამის „პირველადი ჯანდაცვის მომსახურება სოფლად“ კომპონენტის ფარგლებში ანგარიშგებისას;

გ) ამ ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული ანგარიშგების ფორმა – N25 დანართი გამოიყენება „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ს/ს "საჩხერის რაიონულ საავადმყოფო პოლიკლინიკურ გაერთიანებასთან" და შპს „შიდა ქართლის პირველადი ჯანდაცვის ცენტრთან“ ანგარიშგებისას;

დ) ამ ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული ანგარიშგების ფორმა – N27 დანართი გამოიყენება სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის“ ფუნქციონირების ხელშეწყობის კომპონენტის ფარგლებში ანგარიშგებისას.

4. დაევალოთ:

ა) სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტს, სააგენტოს რეგიონალურ საკოორდინაციო ცენტრებსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალს, ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართების გაცნობა შესაბამისი მიმწოდებლებისათვის და საჭიროების შემთხვევაში, დახმარების აღმოჩენა საანგარიშგო პერიოდში წარმოსადგენი ანგარიშგების შესაბამისი ფორმ(ებ)ის შევსებასთან დაკავშირებით;

ბ) სააგენტოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (გ. გოგოლაძე), უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებისა და მისი დანართების განთავსება სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.ssa.gov.ge).

5. ამ ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული ფორმები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს აგრეთვე, 2014 წლის დეკემბრამდე გაწეული სამედიცინო მომსახურების ანგარიშგებისათვის.

6. 2014 წლის 1 დეკემბრიდან, ხოლო სამედიცინო ვაუჩერით დაფინანსებული სახელმწიფო პროგრამების შემთხვევაში, 2014 წლის 10 დეკემბრიდან, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „2013 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში ანგარიშგების

ფორმების დამტკიცების შესახებ“ სააგენტოს 2013 წლის 25 ნოემბრის № 04-463/ო ბრძანება.

7. ბრძანების შესრულების კოორდინაცია დაევალოს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დეპარტამენტის უფროსს (კ. ჩხარტიშვილს).

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელ



გაიოზ თალაკვაძე